თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 4767

" 22 " 11 2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 21 ოქტომბერს გაცემულ №6/1570 ბრძანებაში და №6/1570-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 17 ივნისს №01/763 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „სუპერი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №031), სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტის არქიტექტურულ პროექტი. 2009 წლის 21 ოქტომბერს გაიცა მშენებლობის ნებართვა №6/1570 და მშენებლიბის სანებართვო მოწმობა №6/1570-1, სადაც მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 10 ნოემბრამდე.

ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03.11.11წ. 16.11.11წ. №12/147894-13 განცხადებებით მომართა შ.პ.ს. „სუპერი"-ს წარმომადგენელმა მოქ. მამუკა მაისურაძემ (შ.პ.ს. „სუპერი"-ს მინდობილობა) და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 21 ოქტომბერს გაცემულ №6/1570 ბრძანებაში და №6/1570-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს – შევიდეს ცვლილება 21.10.09წ. №6/1570 ბრძანებასა და №6/1570-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით.

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.05 წლის №140-ე დადგენილების მე-5 თავისა, ასევე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 99-ე მუხლისა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 21 ოქტომბერს გაცემულ №6/1570 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტში, მშენებლობის ვადის განსაზღვრის ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს **2011 წლის 10 ნოემბრამდე**", შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს **2013 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით**" და აღიშნული აისახოს №6/1570-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაშიც.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის №6/1570 ბრძანებასთან და №6/1570-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს განმცხადებელს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი ა. ებილაშვილი

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ.: (+995 32) 272 22 22 ფაქს.: (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

საგადახდო დავალება N 1197 2009 წლის 19 ოქტომბერი

ID - 437602813

გადამხდელის დასახელება შპს "სუპერი", 205050905

გადამხდელის ბანკი: ქ.თბილისი, სს "პროკრედიტ ბანკის" ცენტრალური ფილ-ი

ანგარიში (დებეტი): 360201011300378

ბანკის კოდი: 220101922

თანხა

332.60

იყსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება შპს "სუპერი"

თანხა სიტყვებით

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 205050905

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300773090

მიმღების დასახელება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო შემოსულობები/თბილისი)

სამას ოცდათორმეტი ლარი 60 თეთრი

მიმღების ბანკი: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"

ანგარიში (კრედიტი): 200122900

ბანკის კოდი: 220101222

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გადახდის დანიშნულება : მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე

დამატებითი ინფორმაცია: მშენებლობის ნებართვისთვის მოსაკრებელი

ხელმოწერა

ხელმოწერები:

შტამპის ადგილი

ბ.ა.